საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 25 13/05/2021

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და განკარგულებით დამტკიცებულ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხას დაემატოს შემდეგი ობიექტები (დანართი თან ერთვის):

1.სოფელ ზვარეში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 432 კვ.მ (ს/კ 36.18.34.461).

2.მერიის ბალანსზე რიცხული ავტობუსი BOGDAN, მოდელიA სახ.N WW435PP.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე